ს-29
1929.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

34(05)
ს-29

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. იანვრის 30 № 1 ნაწილი პირველი

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

### ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

1. დადგენილება № 87 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 83, $187^2$ და 266 მუხლების შეცვლისა და საქართველოს სსრ საარბიტრაჟო კომისიების დებულების მე-5 მუხლის შევსებისა და 23 მუხლის გაუქმების შესახებ.

2. დადგენილება № 91 ც. ა. კ. და ს. კ. ს—საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების 39 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

3. დადგენილება № 92 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ქუთაისის სამალაქო საბჭოსათვის, ცეცხლისაგან დაზარალებულთა მოსათავსებლად, კანონით დაწესებული ნორმის ზედმეტი საცხოვრებელი სივრცის მქონე პირთა შემჭიდროების უფლების მიცემის შესახებ.

4. დადგენილება № 94 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 1-მუხ. შენიშვნის დანართისათვის 21 მუხლის დამატებისა და იმავე დანართის მე-20 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

5. დადგენილება № 95 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისათვის $30^1$ და $30^2$ მუხლების დამატებისა და ამ კოდექსის 28 მუხლის 1 და 2 შენიშვნებისა, 30 მუხლის 1 შენიშვნისა და $58^{19}$ მუხ. შენიშვნის გაუქმების შესახებ.

6. დადგენილება № 96 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სისხლის სამართლის კოდექსის 157 მუხლისათვის მე-2 ნაწილის დამატების შესახებ.

7. დადგენილება № 97 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 მუხ. შენიშვნებითურთ შეცვლისა და შევსების შესახებ.

8. დადგენილება № 98 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამოქალაქო კოდექსის 71 მუხ. მე-3 შენიშვნის რედაქციის შეცვლის შესახებ.

9. დადგენილება № 99 ც. ა. კ.—რემედასის კვირეულის ჩატარების შესახებ.

10. დადგენილება № 100 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სავეტერინარო წესდების 63 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

11. დადგენილება № 101 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საქართველოს კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელ არმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საქართველოს კომიტეტის შესახებ.

### სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

12. დადგენილება ს. კ. ს.—კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედ, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოთა და შერეულ სააქციო საზოგადოებათა 1928—1929 წლის ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯის გამოანგარიშების წესის შესახებ.

13. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მომმზადებელი კომისიის მოწყობისა და მისი დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მომმზადებელი კომისიის შესახებ.

14. დადგენილება ს. კ. ს.—სახელმწიფო-სატეხნიკო გამომცემლობის ყოველგვარი რესპუბლიკანური და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან და აგრეთვე სასამართლოს ბაჟისაგან განთავისუფლების შესახებ.

15. დადგენილება ს. კ. ს.—სწავლისა და აღზრდის დაწესებულებაში მასწავლებელთა დანიშვნის წესის შესახებ.

16. დადგენილება ს. კ. ს.—სულით ავადმყოფთა გადაყვან-გადმოყვანის მოწესრიგების შესახებ.

---

# ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

## 1. დადგენილება № 87 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 83, $187^2$ და 266 მუხლების შეცვლისა და საქართველოს სსრ საარბიტრაჟო კომისიების დებულების მე-5 მუხლის შევსებისა და 23 მუხლის გაუქმების შესახებ.**

სრულიად საქართველოს მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროც. კოდექსის 83 მუხლის შენიშვნა, $187^2$ მუხლი და 267 მუხლის მე-2 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

**83 მუხლის შენიშვნა.** არ შეიძლება ისეთი სარჩელის უზრუნველყოფა, რაც აღიძრება სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს წინააღმდეგ, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც აღძრული სარჩელი გამომდინარეობს საკრედიტო დაწესებულების საბანკო ოპერაციიდან ან საკრედიტო დაწესებულების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანკო ოპერაციიდან ან საკრედიტო-კოოპერატიული ორგანიზაციის ოპერაციიდან.

**187$^{2}$ მუხ.** არ შეიძლება სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების დაუყონებლივ შესრულება, ისეთი გადაწყვეტილების გამოკლებით, რაც გამოტანილ იქნა სამუშაო ხელფასის შესახებ აღძრულ სარჩელზე, საკრედიტო დაწესებულების საბანკო ოპერაციიდან ან საკრედიტო-კოოპერატიული ორგანიზაციის ოპერაციიდან გამომდინარე სარჩელზე და აგრეთვე პროტესტქმნილ თამასუქზე დამყარებულ სარჩელზე.

**266 მუხლის მე-2 შენიშვნა.** პრეტენზიების დაკმაყოფილების რიგის მიხედვით, სახელმწიფო საწარმოთა პრეტენზიებს მიეთანაბრება იმ სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) პრეტენზიები, რომელთა აქციონერებად, მათი წესდებების მიხედვით, შეიძლება იყვნენ მარტოოდენ სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებანი და საწარმონი, და აგრეთვე სახელმწიფო ან კოოპერატიული კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ საკრედიტო დაწესებულებათა პრეტენზიები.

II. საქართველოს სსრ საარბიტრაჟო კომისიების დებულების მე-5 მუხლს დაემატოს „გ". პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„გ". დავას, რაც გამომდინარეობს საკრედიტო დაწესებულების საბანკო ოპერაციიდან.

III. საქართველოს სსრ საარბიტრაჟო კომისიების დებულების 23 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ნოემბრის 19.
ტფილისი—სასახლე.

---

## 2. დადგენილება № 91 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

### საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების 39 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

რათა მილიციის ორგანოების მოვალეობანი და სხვა უწყებებისა და თანამდებობის პირთათვის დახმარების აღმოჩენის ფორმები უფრო გარკვეულად იქნეს ჩამოყალიბებული—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ნოემბრის 25-ის თარიღის და 70 №-ის დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების" საქართველოს სსრ კან. კრ. 1926 წ. № 5, მუხ. 114/39 მუხლი მიღებული იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 39. სამაზრო-საქალაქო მილიციის გამგებლობის საგანს შეადგენს:

### პირდაპირი მოვალეობანი:

ა) რევოლიუციონური წესრიგისა, საზოგადოებრივი უშიშროებისა და კეთილმწყობის დაცვა, აგრეთვე მოსახლეობის დაცვა სოციალურად მავნე ელემენტებისაგან, ბრძოლა ბანდიტიზმთან და დანაშაულებრივ ელემენტებთან, დანაშაულისა და რევოლიუციონური წესრიგის დარღვევის წინასწარ აცდენა, გამოაშკარავება და მათ შესახებ კვლევა-ძიების მოხდენა, მოკლევის წარმოება;

ბ) დატუსაღებისა, გაჩხრეკისა და ამორკვევის წარმოება იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც კანონით გათვალისწინებულია;

გ) მეთვალყურეობის გაწევა, მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, მოქალაქეთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ კანონის მოთხოვნების შესრულებისთვის;

დ) ზედამხედველობის გაწევა იმისთვის, რომ საზოგადოებათა პროცესიებისა, მანიფესტაციებისა, კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა, კლუბებისა და საჯარო სანახაოებებისა და გასართობების მიმართ შესრულებულ იქნეს რევოლიუციონური წესები;

ე) მოქალაქეთათვის ვინაობის მოწმობის გაცემა და აგრეთვე მოქალაქეთა რეგისტრაცია;

ვ) მეთვალყურეობის გაწევა დასახლებული პუნქტებისა, საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებისა და სავაჭრო ადგილების სანიტარული მდგომარეობისათვის;

ზ) სტიქიური უბედურების დროს ღონისძიების მიღება მისი გავრცელების წინააღმდეგ და მისი ლიკვიდაციისთვის, აგრეთვე ღონისძიების მიღება იმ საფრთხის წინასწარ ასაცდენად და მოსასპობად, რასაც სტიქიური უბედურება უქადის როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და კერძო პირთა ქონებას, ისე მოქალაქეთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, და სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთათვის საჭირო დახმარების აღმოსაჩენად;

თ) ზედამხედველობის გაწევა ზომა-წონის შესახებ არსებული წესების დაცვისათვის;

ი) ზედამხედველობის გაწევა სათანადო იარაღისა და საამისო სასროლი მასალისა, აგრეთვე ასაფეთქებელი და დეტონიური ნივთიერების ვაჭრობის წესების დაცვისათვის;

კ) ზედამხედველობის გაწევა ბეჭდვითი ნაწარმოებების ვაჭრობის წესების დაცვისათვის;

ლ) ზედამხედველობის გაწევა პოლიგრაფიული მრეწველობის საგნების წარმოებისა და ვაჭრობის და ბეჭდვით ნაწარმოების შესახებ მომქმედი წესების დაცვისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა



მ) ზედამხედველობის გაწევა ჟეტონებისა, პატარა ბაირაღებისა, რევოლიუციის ბელადთა პორტრეტებისა და მათი საქანდაკო გამოსახულებისა და საქველმოქმედო მარკების გავრცელების შესახებ არსებული წესების დაცვისთვის;

ნ) ბრძოლის წარმოება სოციალურ პარაზიტიზმთან, პროსტიტუციასთან, ლოთობასთან და ხულიგნობასთან;

ო) დამნაშავეთა რეგისტრაცია, დაქტილოსკოპია და მათი ფოტოგრაფიული სურათების გადაღება;

პ) ადმინისტრატიული გადასახლების შესახებ მიღებულ დადგენილებათა სისრულეში მოყვანა;

ჟ) შუამდგომლობის აღძრა სოციალურად მავნე ელემენტების ადმინისტრატიული წესით გადასახლების შესახებ;

რ) მილიციასთან არსებული საპატიმრო სადგომების დაცვა და გამგეობა.

**მოვალეობანი სახელმწიფო დაწესებულებათათვის და სხვა უწყებათა თანამდებობის პირთათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში.**

დახმარების აღმოჩენა სახელმწიფო დაწესებულებათათვის და სხვა უწყებათა თანამდებობის პირთათვის ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ამ დაწესებულებათა და პირთა მოქმედებას, მათი პირდაპირი მოვალეობის ასრულების დროს, წინ გადაეღობება დაბრკოლება მოქალაქეთა მხრით (წინააღმდეგობა ან სათუძვლიანი შიში, რომ ასეთი წინააღმდეგობა შეიძლება იქნეს) ან როდესაც მოქალაქენი არ დაემორჩილებიან კანონიერ მოთხოვნას და აგრეთვე სხვა შემთხვევაში, რაც ცალკე აღნიშნულია კანონში.

**შენიშვნა.** მილიციის ორგანოს მოვალეობათა ფარგლებში არ შედის უშუალოდ შესრულება ისეთი მოქმედებისა, რაც სხვა უწყების ორგანოსი და თანამდებობის პირის მოვალეობას შეადგენს.

წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ორი კვირის განმავლობაში გამოსცეს წესები ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ნოემბრის 13.
ტფილისი—სასახლე.

## 3. დადგენილება № 92 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**ქუთაისის საქალაქო საბჭოსათვის, ცეცხლისაგან დაზარალებულთა მოსათავსებლად, კანონით დაწესებული ნორმის ზედმეტი საცხოვრებელი სივრცის მქონე პირთა შემჭიდროებაზე უფლების მიცემის შესახებ.**

რადგანაც მიმდინარე წელს ქ. ქუთაისში მომხდარმა ხანძარმა გამოიწვია მწვავე საბინაო კრიზისი და ზამთრის გამო საჭიროა ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასწრაფოდ უზრუნველყოფა საცხოვრებელი სივრცით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საერთო წესის გამონაკლისად მიეცეს ქუთაისის საქალაქო საბჭოს უფლება შეაჭიდროოს ადმინისტრატიული წესით საცხოვრებელი სივრცის მქონე პირნი, რათა კერძო მფლობელთა და საბინაო-საიჯარო ამხანაგობათათვის საექსპლოატაციოდ გადაცემულ სახლებში გამოყოფილ იქნეს კანონით დაწესებული ნორმის ზედმეტი საცხოვრებელი სივრცე, საერთო რაოდენობით ას ოთახამდე, იმ მიზნით, რომ ეს საცხოვრებელი სივრცე გამოყენებულ იქნეს ხანძრისაგან დაზარალებულ მოქალაქეთა მოსათავსებლად.

**შენიშვნა.** ამა დადგენილების ძალით გამოყოფილი ზედმეტი საცხოვრებელი სივრცე უნდა წარმოადგენდეს ცალკე ოთახს, რომელსაც ცალკე შესავლელი ექნება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალ. კომ. საბჭ. თავმჯდ. **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ნოემბრის 28.
ტფილისი—სასახლე.

---

## 4. დადგენილება № 94 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ 1-მუხ. შენიშვნის დანართისათვის 21 მუხლის დამატებისა და იმავე დანართის მე-20 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1928 წ. 1-ლი №-რი, მუხ 7) და სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კო-

მისართა საბჭოს მიერ „სსრ კავშირისა და საკავშირო რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლებისა და სამხედრო ტრიბუნალებისა და სამხედრო პროკურატურის დებულების შევსებისა და შეცვლის შესახებ“ 1928 წ. მაისის 23-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 34 №-რი, მუხ. 298) დადგენილების მე-3 მუხ. თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 1-მუხლის შენიშვნის დანართს-საქმის წარმოების შესახებ სამხედრო-სასამართლოს დაწესებულებებში (კან. კრებ. 1927 წ. მე-5 №-რი, მუხ. 80) დაემატოს 21 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 21. სამხედრო მსახურს, რომელიც გაიგზავნა მომქმედ არმიაში სამხედრო ტრიბუნალის დადგენილებით (მუხ. 20) ან სამხედრო საშტრაფო ნაწილიდან (სსრ კავშირისა და საკავშირო რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების $19^2$ მუხლის პირველი ნაწილი—სსრკ კან. კრ. 1928 წ. 34 №-რი, მუხ. 298 და საქართველოს სსრ სისხ. სამ. კოდ. $30^2$ მუხ.) და მომქმედ არმიაში ყოფნის დროს მედგრად იცავდა სსრ კავშირს, სათანადო სამხედრო ხელისუფლების შუამდგომლობით შეიძლება სრულიად მოეხსნას წინად გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიება ან-და შეეცვალოს უფრო მსუბუქ ღონისძიებად იმ სამხედრო ტრიბუნალის დადგენილებით, რომელმაც განაჩენი გამოიტანა (სამხ. ტრიბ. დებულების $37^2$ მუხ.)“.

2. სისხლ. სამართ. საპროც. კოდექსის 1-ლი მუხლის შენიშვნის იმავე დანართის მე-20 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 20. ისეთი განაჩენის შესრულება, რომლითაც სამხედრო მსახურს ომიანობის დროს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა უფლების აუყრელად, სამხედრო ტრიბუნალის დადგენილებით შეიძლება გადადებულ იქნეს ომის დამთავრებამდე, იმ პირობით-კი, რომ მსჯავრდადებული გაიგზავნოს მომქმედ არმიაში (სამხ. ტრიბ. დებულების $37^1$-მუხ.)“.

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტ. აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## 5. დადგენილება № 95 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 30-$^{1}$ და 30-$^{2}$ მუხლების დამატებისა და ამ კოდექსის 28 მუხლის 1 და 2 შენიშვნებისა, 30 მუხლის 1 შენიშვნისა და 58-$^{19}$ მუხ. შენიშვნის გაუქმების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) და სსრ კავშირის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კომისართა საბჭოს მიერ „სსრკ-რის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლებისა და სამხედრო ტრიბუნალებისა და სამხედრო პროკურატურის დებულების შევსებისა და შეცვლის შესახებ“ 1928 წ. მაისის 23-ს თარიღით გამოცემული (სსრკ-რის კან. კრებ. 1928 წ. 34 №-რი, მუხ. 298) დადგენილების თანახმად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 30-$^{1}$ და 30-$^{2}$ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 30-$^{1}$. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილში შეუწყვეტელ სამსახურში მყოფი მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრების სამერიგეო და ვადიანი სამსახურის უმცროს მეთაურთა შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელსაც მშვიდობიანობის დროს სამხედრო ან საერთო სისხლის სამართლის დანაშაულისათვის გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ორი თვიდან ერთ წლამდე სასტიკი იზოლაციის შეუფარდებლად და უფლების აუყრელად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ სოციალური დაცვის ღონისძიებას მოიხდის სამხედრო საშტრაფო ნაწილში, ხოლო, უკეთუ მას გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ორ თვემდე,—ამ ღონისძიებას იგი მოიხდის იმ წესით, რაც დადგენილია სამხედრო მსახურთა მიერ სადისციპლინო წესით გადაწყვეტილი დატუსაღების მოხდისათვის.

აღნიშნულ სამხედრო მსახურს, რომელსაც მშვიდობიანობის თუ ომიანობის დროს გადაეწყვიტა იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთელად, აღნიშნული მუშაობა თავისუფლების აღკვეთა იმ ვადით, რაც შესაფარდებელი იძულებითი მუშაობის ვადის ერთ მეექვსედს უდრის, თანაც თავისუფლების აღკვეთას ასეთი მსახური მოიხდის იმ წესით, რაც დადგენილია სამხედრო მსახურთა მიერ სადისცილინო წესით გადაწყვეტილი დატუსაღების მოხდისათვის.

**შენიშვნა.** სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისაგან თავის არიდების საქმეზე სამხედრო ტრიბუნალს შეუძლიან, იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისაა ეს არიდება, გამოიტანოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ის პირი, ვისაც გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე, გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიების მოსახდელად გაიგზავნოს საერთო საპატიმრო ადგილას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუხ. 30-². მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საომარ მდგომარეობაზე გადაყვანისათანავე სამხედრო მსახური, რომელიც სამხედრო საშტრაფო ნაწილში იმყოფება, გაიგზავნება მოქმედ არმიაში, ხოლო გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძების დარჩენილი ვადის მოხდა გადაიდება საომარ მოქმედებათა გათავებამდე.

იმ განაჩენის სისრულეში მოყვანა, რომლითაც სამხედრო მსახურს ომიანობის დროს გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა უფლების აუყრელად, შეიძლება განაჩენის გამომტანი სასამართლოს დადგენილებით გადაიდოს სამხედრო მოქმედებათა გათავებამდე, იმ პირობით-კი, რომ მსჯავრადებული გაიგზავნოს მომქმედ არმიაში.

უკეთუ ამა მუხლის პირველ და მეორე ნაწილში აღნიშნული სამხედრო მსახური მომქმედ არმიაში ყოფნის დროს თავს გამოიჩენს სსრ კავშირის მედგარ დამცველად, იგი, სათანადო სამხედრო უფროსის შუამდგომლობით, შეიძლება განთავისუფლ იქნეს წინად გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიებისაგან, ან ეს ღონისძიება მას შეიძლება შეეცვალოს სოციალური დაცვის უფრო მსუბუქ ღონისძიებად იმ სასამართლოს დადგენილებით, რომელმაც განაჩენი გამოიტანა.

II

გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28 მუხლის 1 და 2 შენიშვნა, 30 მუხლის 1 შენიშვნა და 58-¹⁹ მუხლის შენიშვნა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

---

## 6. დადგენილება № 96 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

### სისხლის სამართლის კოდექსის 157 მუხლისათვის მე-2 ნაწილის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის (კან. კრებ. 1924 წ. 1-ლი №-ის მე-7 მუხ.) წესისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ სისხლის სამ. კოდექსის 157 მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

**157 მუხ. მე-2 ნაწ.** ისეთი მოქმედების ჩადენა, რაც წინასწარი შეცნობით ჩააყენებს სხვა პირს იმგვარ საფრთხეში, რომ მას შეიძლება ვენერიული სენი შეეყაროს, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითი მუშაობას ექვს თვემდე.

სრულიად საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

---

## 7. დადგენილება № 97 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 მუხ. შენიშვნებითურთ შეცვლისა და შევსების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრული კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოადგენენ:

სამოქ. სამ. კოდექსის 101 მუხლი შენიშვნებითურთ შეივსოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 101. მოვალის დაგირავებული ქონებიდან, უკეთუ სხვა მისი ქონება საკმარისი არ იქნება წარდგენილ გადასახდელთა გასასტუმრებლად, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს, უპირატეს მოგირავნის პრეტენზიებისა, ქვემოაღნიშნული კატეგორიების გადასახდელი: პირველ რიგში—რკინის გზისა და სანაოსნო საწარმოთა მოთხოვნები ტვირთის გადაზიდვის ფასისა და ამ ფასის დამატებითი გამოსაღების გადახდევინების შესახებ (1927 წ. რედაქციის რკ. გზ. წესდების 87 მუხ. და სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „საზღვაო გადაზიდვის შესახებ“ გამოცემული დებულების 44. მუხ.—სსრკ კან. კრებ. 1926 წ. 39 №-რი, მუხ. 284).

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეორე რიგში—ის ვალი, რასაც შეადგენს: ა) მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასი, ბ) სოციალური, დაზღვევის გადასახადი, გ) ალიმენტები, დ) დაზარალებულთა, მათი ოჯახის წევრთა ან, რეგრესის წესისამებრ, (413 მუხ. 2 ნაწ. და 414 მუხ.) სოციალური დაზღვევის ორგანოთა პრეტენზიები დაშავებისა ან სიკვდილის გამო საზღაურის შესახებ, როგორც დროგამოშვებითი გადასახდელის სახით, ისე საწარმოს ლიკვიდაციის დროს $415^1$-მუხლის თანახმად კაპიტალიზებული თანხების სახით, ე) პროფესიონალურ კავშირთა პრეტენზიები საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და ადგილობრივ კომიტეტების შესანახანად დაწესებული ანარიცხების შესახებ, ვ) გამომგონთა და სამრეწველო ნიმუშების ავტორთა და მემკვიდრეთა (იურიდიულ პირებს გარდა) მოთხოვნები გარეგისტრებული გამონაგონებისა და სამრეწველო ნიმუშების გამოყენებისათვის გადასახდევინებელ საზღაურის იმ ნაწილის შესახებ, რაც 6.000 მანეთს არ აღემატება, ზ) ავტორების (და მათი მემკვიდრეების) პრეტენზიები, რაც მათი განსაკუთრებული უფლების გამოყენებას ეხება, კერძოდ, ამ უფლების მთლად ან ნაწილობრივ გასხვისებას ან საავტორო უფლების დარღვევას.

მესამე რიგში— დაგირავებულ ქონებაზე დადებული სააქციზო გადასახადი, უკეთუ ეს ქონება იმ დროს არის დაგირავებული, როდესაც იგი წარმოების ადგილას, საბაზისო საწყობში ან საბაჟოში იყო.

მეოთხე რიგში—ის მოთხოვნა, რაც საკრედიტო-საოპერაციო ორგანიზაციებში შეტანილი ანაბარის უკან დაბრუნებას შეეხება.

მეხუთე რიგში—საკრედიტო დაწესებულებების მიერ საკრედიტო-საკოოპერაციო ორგანიზაციებისადმი მიმართული მოთხოვნა იმ სესხის გამო, რაც აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მიიღეს საკრედიტო დაწესებულებებიდან სოფლის მეურნეთა, შინამრეწველთა და ხელოსნებისათვის სესხად დასარიგებლად (იმ სესხის გარდა, რაც გაცემულია ძირითადი ან სპეციალური კაპიტალისათვის).

მეექვსე რიგში—არსებული წესით მომქმედი საკრედიტო დაწესებლების ისეთი მოთხოვნა, რაც გირაოთია უზრუნველყოფილი.

მეშვიდე რიგში—როგორც საერთო-სახელმწიფო, ისე ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების ნარჩენი, საურავი, ჯარიმა და გადახდევინებით გამოწვეული ხარჯი, რაც დაწესებულია გადასახადისა და გამოსაღების აკრეფის კანონით; აგრეთვე ისეთი სესხის ნარჩენი, რაც პირდაპირ საერთო-სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან არის გაცემული, და ბანკების პრეტენზია ისეთი სესხის გამო, რაც უზრუნველყოფილია ფინანსთა სახალხო კომისარიატის საგარანტიო წერილებით, სსრკ ცენტრ. აღმ. კომ-ტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. იანვრის 21-ს დადგენილებაში აღნიშნული წესისამებრ (სსრკ კან. კრებ. (1927 წ. მე-6 №-რი, მუხ. 59).

**შენიშვნა 1.** უკეთუ მოვალის ქონება საკმარისი არ არის ყველა იმ გადასახდელის სრული დაკმაყოფილებისათვის, რაც ამა მუხლისამებრ ერთ და იმავე რიგშია მოქცეული, ამ გადასახდელთა გასტუმრება უნდა მოხდეს პროპორციონალურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**შენიშვნა 2.** სააქციო გადასახდელი, უპირატეს საკრედიტო დაწესებულების მოთხოვნისა, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს დაგირავებული ქონებიდან მხოლოდ იმ თანხის ფარგლებში, რაც აღნიშნულია სათანადო საფინანსო ორგანოსაგან საკრედიტო დაწესებულების მიერ მიღებულ ცნობაში იმის შესახებ, თუ რა სააქციზო გადასახდელი ედვა დაგირავებულ ქონებას დაგირავების დროს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმ.
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭ.
თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმ.
კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი-სასახლე.

---

## 8. დადგენილება № 98 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**სამოქალაქო კოდექსის 71 მუხ. მე-2 შენიშვნის რედაქციის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართაელოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71 მუხლის მე-3 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 71. შენიშვნა მე-3. უკეთუ მიწის ნაკვეთი გაიცემა საარენდოდ მუშათა ბინების ასაშენებლად, აღნაგობის უფლების ხელშეკრულება დადებულ უნდა იქნეს ამა მუხლში აღნიშნული უკიდურესი ვადით.

ხოლო უკეთუ არსებული შენობა აღნაგობის უფლების ხელშეკრულებით გაიცემა აღსადგენად, დასამთავრებლად, დასაშენებლად და მისაშენებლად ან გადასაკეთებლად (მუხ. 84) მუშათა ბინებისათვის, აღნაგობის უფლების ხელშეკრულება დადებულ უნდა იქნეს ვადით არა ნაკლებ ამა დადგენილებაში აღნიშნული უკიდურესი ვადის ორი მესამედისა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 9. დადგენილება № 99 ც. ა. კ.

## რემედასის კვირეულის ჩატარების შესახებ.

რემედასის მატერიალური სახსარის გაძლიერებისა და მისი იდეებისა და მიზნების პოპულიარიზაციისათვის—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს რემედასს მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კვირეული დეკემბრის 23-დან 28-დე, ამ რიცხვითურთ,—ამა დადგენილების შემდეგ მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში რემედასს ნება ეძლევა:
ა) მოაწყოს ფასიანი კონცერტები და სპექტაკლები,
ბ) მოაწყოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები საზოგადოების მიზანის შესაფერ თემებზე, რათა ფართოდ ჩააბას მოქალაქენი საზოგადოების მუშაობაში და აგრეთვე გაავრცელოს მათ შორის რემედასის მიზნები და იდეები, რისთვისაც გამოიყენებს საზოგადო აუდიტორიებს და კინო-თეატრებისა და რადიო-გადაცემათა სადგომებს.

3. ნება დაერთოს რემედასს სამი დღის განმავლობაში—დეკემბრის 23-დან 25-დე, ამ რიცხვითურთ,—აწარმოოს ყველგან ფულის ნებაყოფლობითი შეგროვება ყულაბებით ქუჩებში, საზოგადო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებებში.

4. დაწესებულ იქნეს დეკემბრის 23-დან 25-დე, ამ რიცხვითურთ, შემდეგი დაბეგვრა რემედასის სასარგებლოდ:
ა) სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობისა და სანახაობის (თეატრი, კინო, კლუბი და სხვ.) ბილეთებზე—მისი ღირებულების 10%-ის რაოდენობით,
ბ) სპეციალური გამოსაღები ყველა რესტორანისა, ღვინის სარდაფისა და სასტუმროს ბრუნვაზე—10%-ის რაოდენობით.

5. წინადადება მიეცეს ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს—გამოუშვას სამი დღით მთავარ ხაზებზე მიმოსვლისათვის ტრამვაის ერთი ვაგონი და ამის მთელი შემოსავალი გადასცეს რემედასს.

6. ნება დაერთოს რემედასს აწარმოოს კვირეულის განმავლობაში ლოტერეას გათამაშება ქ. ტფილისში (განსაზღვრულ პუნქტებში და ყველა კინო-თეატრში) და ადგილობრივ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 10. დადგენილება № 100 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**სავეტერინარო წესდების 63 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სავეტერინარო წესდების 63 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„63. რკინისგზითა და წყალსავალი გზით მსხვილი და წვრილი რქოსანი საქონლისა, აქლემებისა, ირმებისა, ცხენებისა, მოზარდი საქონლისა, ცოცხალი შინაური ფრინველისა და ცხოველთა უმი პროდუქტების გადაგზავნა განისაზღვრება იმ წესებით, რასაც გამოსცემს გადაზიდვის საქმეთა ცენტრალური კომიტეტი; ამ უკანასკნელმა აღნიშნული წესები უნდა შეუთანხმოს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სავეტერინარო საქმეთა კომიტეტს; წესები გამოქვეყნდება გზათა სახალხო კომისარიატის მიერ სატარიფო კრებულში.

ცხოველთა უმი პროდუქტების გზა-ტკეცილით გადაზიდვა სწარმოებს იმ წესებისა და ინსტრუქციების თანახმად, რასაც გამოსცემს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი სათანადო უწყებებთან შეთანხმებით.

**შენიშვნა.** ცხენებისა და აქლემების გადაზიდვა, რასაც სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი აწარმოებს, მოწესრიგდება „ჯარისა და სამხედრო ტვირთის გადაზიდვის დებულებით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

---

## 11. დადგენილება № 101 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საქართველოს კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საქართველოს კომიტეტის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გაუქმებულ იქნეს 1927 წლის აპრილის 20-ის თარიღით გამოცემული დებულება (კან. კრებ. 1927 წ. № 4, მუხ. 65) ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. დეკემბრის 18.
ტფილისი—სასახლე.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საქართველოს კომიტეტის შესახებ.

### I. ზოგადი დებულებანი.

1. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საქართველოს კომიტეტის მიზანია აღნიშნულ კატეგორიათა პირთათვის დახმარების გაწევა მათი მატერიალური უზრუნველყოფისა, კულტურულ და პოლიტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და ექიმობის საქმეში. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საქართველოს კომიტეტი თავის მუშაობას, რამდენადაც ეს მუშაობა სათანადო სახელმწიფო ორგანოების (სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, კავკასიის წითელდროშიანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს) მოქმედების შემავსებელია, ამ ორგანოებთან შეთანხმებული გეგმით აწარმოებს.

2. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტი სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებობს და მისი საერთო ხელმძღვანელობით მოქმედებს.

3. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტი აერთიანებს და მეთაურობას უწევს, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში, საბჭოთა საზოგადოებრიობის მოქმედებას, რაც მიზნად ისახავს აღმოუჩინოს დახმარება ომის ინვალიდებს, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელებს და ომში დაღუპულ პირთა ოჯახებს.

4. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტს თავისი გამგებლობის საგანთა სფეროში, აქვს იურიდიული პირის უფლებანი; მას აგრეთვე აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბით და სათანადო წარწერით.

## II. მ ი ზ ა ნ ი.

5. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საქართველოს კომიტეტი შეასრულებს შემდეგ საქმეს:

ა) ჩააბამს მოსახლეობის ფართო მასას და საზოგადოებრივ ოგანიზაციებს ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფისა და მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში;

ბ) გაუწევს მატერიალურ და ორგანიზაციულ დახმარებას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, რომელნიც განაგებენ ზემოხსენებულ კატეგორიათა პირების უზრუნველყოფის საქმეს, და აგრეთვე გაუწევს ამავე პირებს ყოველგვარ უშუალო დახმარებას მინიჭებული უფლებების ფარგალში.

ამა პუნქტში აღნიშნული დახმარების აღმოჩენას საქინდამხკომი აწარმოებს სათანადო სახელმწიფო ორგანოებთან ცალკე შეთანხმების საფუძველზე;

გ) შეისწავლის პრაქტიკულ და თეორიულ საკითხებს ომის ინვალიდთა უზრუნველყოფისა და ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთათვის დახმარების აღმოჩენის სფეროში;

დ) შეასრულებს სხვა საქმეს, რაც საქინდამხკომის მიზნებს შეეფერება და რასაც მას დააკისრებს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

## III. უ ფ ლ ე ბ ე ბ ი.

6. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტი მისი ადგილობრივი განყოფილებანი და საწარმონი, უკეთუ ეს უკანასკნელნი თვით საქინდამხკომის მიერ არის მოწყობილი და თვითვე ეწევა მათ ექსპლოატაციას, განთავისუფლდებიან ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან; აგრეთვე მათ მიერ მოწყობილ საჯარო სანახაობასა და გასართობზე (საღამო, კონცერტი, საბილიარდო და სხვ.) მიმსვლელი განთავისუფლდება საქართველოს წითელი ჯარის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების სასარგებლოდ დაწესებული გამოსაღებისაგან.

7. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტს უფლება აქვს მიიღოს ყოველგვარი შემოწირულება, რომლის დანიშნულებაც ამა დებულებას არ ეწინააღმდეგება. საქინდამხკომს უფლება აქვს გაანაღდოს მიღებული ქონება თავისი შეხედულებისამებრ, რამდენადაც ეს აუცილებელი იქნება მასზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

8. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტს უფლება ეძლევა, ამა დებულების პირველი მუხლში აღნიშნული მიზნისათვის, გახსნას დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით სხვა და სხვა დაწესებულება და საწარმო, როგორც ისეთი, რომელიც მოგებას მისდევს, აგრეთვე ისეთით, რომელიც მოგებას არ მისდევს. ამ დაწესებულებათა მესამე პირისათვის გადაცემის უფლება საქ. ინვ. დამხ. კომიტეტს არა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



9. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტს უფლება აქვს მოსთხოვოს სახელმწიფო დაწესებულებას, რომელიც ანხორციელებს ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარების საქმეს,—ცნობები საქინდამხკომისაგან მიღებული ქონების და სახსრის მოხმარებისა და სარგებლობის წესის შესახებ.

10. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტს უფლება აქვს გაეცნოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა საინვალიდო დაწესებულების მდგომარეობას და აგრეთვე იმ დაწესებულებათა მდგომარეობას, რომელნიც მომსახურეობას უწევენ ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთ, ხოლო არ უნდა ჩაერიოს ამ დაწესებულებათა მმართველობის საქმეში და მათ მოქმედებაში. თავის მასალასა და დასკვნას შემჩნეული ნაკლის შესახებ საქინდამხკომი აცნობებს სოციალური უზრუველყოფის სახალხო კომისარიატს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს.

11. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტს უფლება აქვს მოაწყოს ინვალიდის და წითელარმიელის მეგობართა საზოგადოებანი და ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს მათ მოქმედებას. ამ საზოგადოებათა წესდება დამტკიცებულ უნდა იქნეს მოქმედი კანონით გათვალისწინებული წესისამებრ.

12. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტს აქვს უფლება ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების სასარგებლოდ საქველმოქმედო მარკების გამოშვებისა; საქინდამხკომმა ამ შემთხვევაში უნდა იმოქმედოს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

მარკების გავრცელება დაევალება საქინდამხკომს და ადგილობრივ დამხკომებს, რომელნიც ამ საქმეში საქინდამხკომის ხელმძღვანელობითი მოქმედებენ.

13. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები ვალდებულ არიან გამოაქვეყნონ ხოლმე პერიოდულად თავისი ანგარიში.

## IV. ორგანოები.

14. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტის ორგანოებია: ცენტრში—ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე კომიტეტის პლენუმი და პრეზიდიუმი; ადგილობრივ სამაზრო (საქალაქო) დამხმარე კომიტეტები სათანადო აღმასკომებთან.

**შენიშვნა.** საქინდამხკომის პლენუმის შეხედულებისამებრ შეიძლება მოწვეულ იქნეს ხოლმე დამხმარე კომიტეტების სრულიად საქართველოს თათბირი, ამ თათბირთა მოწვევის წესს, მათ შედგენილობას და განსახილველ საკითხებს განსაზღვრავს საქინდამხკომის პლენუმი.

### ა. ცენტრალური ორგანოები.

15. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტის პლენუმი შესდგება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ქალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა



განყოფილებისა, საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, კავკასიის წითელდროშიანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომსარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, გლეხთა საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარების ცენტრალური კომიტეტისა, ცეკავშირისა, შრომის სახკომისა, ტფილისის საბჭოს და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელთაგან.

საქ. ინვ. დამხ. კომიტეტის პლენუმი მისცემს ზოგად დირექტივებს თავის ორგანოებს და აგრეთვე განიხილავს და დაამტკიცებს საქინდამხკომის პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს.

**შენიშვნა.** საქინდამხკომის პლენუმს უფლება აქვს კოოპტაციის წესით მიიწვიოს გარეშე პირი, რომელიც კომიტეტის მუშაობისათვის სასარგებლო იქნება და რომელსაც ამასთანავე რაიმე დამსახურება მიუძღვის ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარების საქმეში.

16. სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიწვევის წესი და აგრეთვე პლენუმის სხდომათა მოწვევის წესი და ვადა განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც საქ. ინვ. დამხ. კომიტეტის პლენუმი დაამტკიცებს.

17. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტის პლენუმი თავისი წრიდან აირჩევს პრეზიდიუმს; პრეზიდიუმში შედის არა უმეტეს 5 წევრისა. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ და თავმჯდომარის მოადგილედ არიან სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი და მისი მოადგილე.

18. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტის პრეზიდიუმი ყველა შემთხვევაში საქ. ინ. დამხ. კომიტეტის წარმომადგენელია, რისთვისაც განსაკუთრებული რწმუნებულობა საჭირო არ არის.

19. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტის ცენტრალური ორგანოების სამყოფელი ადგილი ტფილისია.

## ბ. ადგილობრივი დამხმარე კომიტეტები.

20. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე ადგილობრივი კომიტეტები არსებობენ სამაზრო (საქალაქო) აღმასრულებელ კომიტეტებთან.

21. ადგილობრივი კომიტეტი შესდგება პლენუმისა და პრეზიდიუმისაგან.

22. ადგილობრივი კომიტეტის პლენუმი შესდგება სათანადო სამაზრო (საქალაქო) აღმასკომისა, საქართველოს კომპარტიის ადგილობრივი კომიტეტისა, ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, ქალთა განყოფილებისა, სამაზრო საფინანსო განყოფილებისა, სამხედრო უწყებისა, სოციალურ უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოს, ჯანმრთელობის განყოფილებისა, პროფესიონალური საბჭოს და გლეხთა საზოგადოებრივი ურთი-ერთ დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელთაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**შენიშვნა.** პლენუმს აქვს ცალკე პირთა კოოპტაციის წესით მიწვევის უფლება.

23. ადგილობრივი კომიტეტის პრეზიდიუმი შესდგება თავმჯდომარისაგან, რომელიც არის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე ან მისი მოადგილე, და სამი წევრისაგან; წევრად არიან ალმასკომისა, ჯანმრთელობის განყოფილებისა და სამხედრო უწყების წარმომადგენელნი.

24. ადგილობრივი კომიტეტის პლენუმს სათანადო ადმინისტრატიული რაიონის ფარგალში აქვს საქინდამხკომის უფლებები, გარდა იმ უფლებებისა, რაც აღნიშნულია ამა დებულების მე-11, 12 და 13 მუხლში. თავის უფლებებს პლენუმი განახორციელებს თავისი პრეზიდიუმის მეშვეობით, რისთვისაც გამოიყენებს ლამხკომის მუდმივ მდივანს და სოციალური უზრუნველყოფის სათანადო განყოფილების ან ალმასკომის ტეხნიკურ აპარატს.

26. ამა დებულების ყველა დადგენილება, რაც საქინდამხკომის ცენტრალურ ორგანოებს შეეხება, თანასწორად ეხება აგრეთვე ადგილობრივ კომიტეტებსაც, რამდენათაც სხვა რამ არ არის აღნიშნული.

27. ადგილობრივი კომიტეტის სამყოფელი ადგილი უნდა შეეფერებოდეს სოციალური უზრუნველყოფის სათანადო განყოფილების ან ალმასკიმის სამყოფელ ადგილს.

28. ადგილობრივ კომიტეტს აქვს ბეჭედი სათანადო წარწერით.

## V. ს ა ხ ს ა რ ი.

29. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტისა და ადგილობრივ კომიტეტების სახსარს შეადგენს:

ა) მატერიალური და ფულადი შენატანი, როგორც პერიოდული, ისე ერთდროული; ბ) საქველმოქმედო მარკებისა, ჟეტონებისა, სურათებისა და სხვ. შემოსავალი, აგრეთვე კონცერტებისა, წარმოდგენებისა, ლექციებისა და სხვ. შემოსავალი; გ) შემოსავალი სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა და წარმოებითი დაწესებულებებისა, სასოფლო-სამეურნეო კოლონიებისა და სხვ., რასაც მოაწყობს საქინდამხკომი და ადგილობრივი კომიტეტი, ამ საგანზე მომქმედ კანონდებულებათა მიხედვით. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტის სავაჭრო-სამრეწველო და წარმოებითი მუშაობა განხორციელდება საქინდამხკომთან არსებული სამმართველოებისა და განყოფილების მიერ ცალკე დებულების საფუძველზე, რომელსაც დაამტკიცებს საქინდამხკომის პრეზიდიუმი.

**შენიშვნა.** ადგილობრივი დამხკომის შემოსავლის განსაზღვრული პროცენტი, საქინდამხკომის დირექტივისამებრ, ემ უკანასკნელის შემოსავლად გადაირიცხება.

## VI. საქინდამხკომის მოქმედების რევიზია.

30. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტისა და ადგილობრივ დამხმარე კომიტეტების მოქმედების საერთო რევიზიების გარდა, რასაც მუშათა და გლეხთა ინსპექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ციის სახალხო კომისარიატის ორგანოები აწარმოებენ,—ამ მოქმედებას შეიძლება გაეწიოს სარევიზიო გამოკვლევა სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სპეციალური დადგენილებით და აგრეთვე სამაზრო (საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური დადგენილებით.

### VII. ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ა.

31. საქ. ინვ. დამხ. კომიტეტის ლიკვიდაცია მოხდება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, რომელიც განსაზღვრავს ლიკვიდაციის წესს. ლიკვიდაციის შემდეგ ქონება გადაეცემა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს.

32. ადგილობრივი დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაცია მოხდება სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის (მაზრის ან ქალაქის) დადგენილებით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს საქ. ინვ. დამხ. კომიტეტის პრეზიდიუმთან.

33 უკეთუ ადგილობრივი დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაცია მოხდა, მისი ქონება გადაეცემა საქინდამკომს, თუ ამ საგანზე სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა სხვა რამ განკარგულება არ მოახდინა.

---

# სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

## 12. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

**კომერციული (სასეურნეო) ანგარიშის პრიციპზე მომქმედ, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოთა და შერეულ სააქციო საზოგადოებათა 1928—1929 წლის ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო -სამეურნეო ხარჯის გამოანგარიშების წესის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კომერციული (სამეურნეო)ანგარიშის პრინციპზე მომქმედი, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ორგანოები და ის შერეული სააქციო საზოგადოებანი, რომელთა რეგისტრაციაც ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) სამმართველოში სწარმოებს,—ვალდებულ არიან გამოიანგარიშონ საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯის სახარჯთიღრიცხვო დანიშნულებანი 1928/29 წლისათვის ისეთი რაოდენობით, რაც არ აღემატება 1927/28 წლის ხარჯთაღრიცხვების სათანადო დანიშნულებათ, რომელი ხარჯთაღრიცხვებიც შედგენილია იმ წესების დაცვით, რაც აღნიშნული არის საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 28-ს დადგენილებაში „1927—1928 წ. ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების 20%-ით შემცირების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრებ. 1927 წ. მე-9 №-რი, მუხ. 141).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნულ დანიშნულებათა გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული 1927/1928 წლის ხარჯთაღრიცხვათა დანიშნულებანი იმ ხარჯისათვის, რაც 1928/1929 წელში არ განმეორდება.

1928/1929 წლის ხარჯთაღრიცხვებით პირველად გათვალისწინებული ახალი ხარჯის დანიშნულება არ შედის ზემოაღნიშნულ უკიდურეს რაოდენობაში, და ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნულ უნდა იქნეს გრაფგარეშე.

**შენიშვნა.** უკეთუ სამუშაოთა მოცულობა, 1928/1929 წლისათვის დამტკიცებული გეგმის თანახმად, გაიზარდა 1927/1928 წელთან შედარებით: სამრეწველო საწარმოში—17%-ზე მეტად და სავაჭრო საწარმოში—20%-ზე მეტად, სათანადო სახარჯთაღრიცხვო დანიშნულება შეიძლება გადიდებულ იქნეს.

2. 1928/1929 წლისათვის საადმინისტრაციო-სავამგებლო ხარჯის სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებათა გამოანგარიშების დროს 1-ლ მუხლში მოხსენებული სახელმწიფო ორგანოები და შერეული საზოგადოებანი ვალდებულ არიან გაითვალისწინონ აღნიშნული ხარჯების შემდგომი შემცირება აპარატის რაციონალიზაციისა, ზედმეტი ფუნქციების მოსპობისა და მუშაობის სისტემის და მეთოდების გაუმჯობესებით და აგრეთვე საგამგებლო ორგანოთა სადგომების შენახვისა და მომსახურეობისა, წარვლინებისა, ფოსტა-ტელეგრაფისა, ტრანსპორტისა და სხვა ხარჯების შემდგომი შემცირებით და ამა თუ იმ ორგანოს მოვალეობასთან არაუშუალოდ დაკავშირებული მიზნისათვის სახსრის დახარჯვის სრული მოსპობით.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს, რომელთა გამგებლობაშიაც 1-ლ მუხლში აღნიშნული საწარმონი იმყოფებიან, დაევალება, საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კოსისარიატთან შეთანხმებით, გამოსცენ ორი კვირის განმავლობაში სათანადო ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის,

4. საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს დაეკისრება შეამოწმოს ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლის შესრულება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. ნოემბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 13. დადგენილება ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მომმზადებელი კომისიის მოწყობისა და მისი დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მუდმივი მომმზადებელი კომისია, რომლის შედგენილობა, მოქმედების ფარგალი და უფლება-მოვალეობანი განისაზღვროს განსაკუთრებული დებულებით.

2. დამტკიცებულ და 1928 წ. დეკემბრის 1-დან სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული „დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მომმზადებელი კომისიის შესახებ".

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. ნოემბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

## დებულება

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მომმზადებელი კომისიის შესახებ.**

1. სახალხო კომისართა საბჭოსთან, მუდმივი ორგანოს სახით, მოქმედობს მომმზადებელი კომისია, რომლის მიზანსაც შეადგენს იმ საკითხების წინასწარი მომზადება, რაც განსახილველად და გადასაწყვეტად შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში.

**შენიშვნა.** სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული საკითხი მომმზადებელ კომისიას განსახილველად გადაეცემა მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის განსაკუთრებული განკარგულებით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

2. მომმზადებელი კომისია შესდგება: ა) თავმჯდომარისა, თავმჯდომარის მოადგილისა და ხუთი წევრისაგან, რომელთაც დანიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო; ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველისაგან.

**შენიშვნა 1.** ამის გარდა, მომზადებელ კომისიაში შედიან სათათბირო ხმით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს უფროსი იურისკონსულტი და მომმზადებელი კომისიის პასუხისმგებელი მდივანი.

**შენიშვნა** 2. უკეთუ მომმზადებელი კომისიის თავმჯდომარე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და ეკონომიური საბჭოს წევრი არ არის, მას ამ ორგანოებში ეძლევა სათათბირო ხმის უფლება.

3. საკითხების განხილვის დროს მომმზადებელი კომისიის სხდომაზე გამოიწვევა მომხსენებელი და წარმომადგენელი დაინტერესებული უწყებისა, ხოლო უკეთუ საჭირო იქნება, აგრეთვე საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკისა, ოლქისა და მაზრისაც.

მომმზადებელი კომისიის სხდომაზე მივლინებული მომხსენებელი და წარმომადგენელი პასუხისმგებელია მის მიერ წარმოდგენილი ორგანოს თუ დაწესებულების ოფიციალური თვალსაზრისისათვის.

უკეთუ აღნიშნული პირნი არ გამოცხადნენ, მომმზადებელ კომისიაში განსახილველად დანიშნული საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს მათ დაუსწრებლადაც.

4. მომმზადებელი კომისიის სხდომა კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო ამა დებულების მე-2 მუხლში აღნიშნულ წევრთა ნახევარი მაინც, მათ რიცხვში თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

ყოველი საკითხი მომმზადებელ კომისიაში გადაწყდება ხმის მარტივი უმეტესობით.

5. უკეთუ კომისიის წევრი და აგრეთვე კომისიის სხდომაზე დამსწრე პასუხისგებელი წარმომადგენელი უწყებისა ან დაწესებულებისა თანახმა არ არის მომმზადებელი კომისიის მიერ მიღებული დადგენილებისა, მას უფლება აქვს განაცხადოს ეს დადგენილების გამოტანის დროს, რაც სხდომის ოქმში ჩაინიშნება უწყებისა და დაწესებულების პასუხისმგებელი წარმომადგენლის ასეთი განცხადება დადასტურებულ უნდა იქნეს, სამი დღის განმავლობაში მომმზადებელი კომისიის სათანადო დადგენილების ასლის მიღების მომენტიდან, სათანადო უწყებისა თუ დაწესებულების დასაბუთებული განცხადებით. იმავე ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს წევრთ, აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეთ, სახალხო კომისარიატთა შედგენილებაში არაშემავალ ცენტრალურ რესპუბლიკანურ დაწესებულებათა უფროსთ, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმს, რესპუბლიკანურ კოოპერატიულ შენაერთთა გამგეობათ და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ საკრედიტო დაწესებულებათა გამგეობათ შეუძლიანთ განაცხადონ, რომ ისინი თანახმანი არ არიან მომმზადებელი კომისიის მიერ მიღებული დადგენილებისა.

6. მე-5 მუხლში აღნიშნული ვადების გასვლისას, მომმზადებელი კომისიის დადგენილება, იმავე მუხლის წესისამებრ შეტანილი პასუხისა და განცხადების თანდართვით, წარედგინება გადასაწყვეტად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც: ა) ან დაამტკიცებს თავისი ხელმოწერით, რის შემდეგ მომმზადებელი კომისიის დადგენილება მიიღებს სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების ძალას ქვემდებარეობის მიხედვით; ბ) ან გადასცემს საკითხს მომზადებელ კომისიას დამატებითი დამუშავებისა თუ ხელახალი განხილვისათვის სათანადო დირექტივების მიცემით; გ) ან და გადაიტანს საკითხს სახალხო კომისართა საბჭოში თუ ეკონომიურ საბჭოში—კუთვნილებისამებრ—გადასაწყვეტად.

**შენიშვნა** 1. უკეთუ საკითხი განსაკუთრებით სასწრაფოა, სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლიან გადასწყვიტოს მომზადებელი კომისიის მიერ შემუშავებული საკითხი ამა მუხლში აღნიშნული წესისამებრ, ხოლო გარეშე იმ ვადებისა, რაც ამავე მუხლშია განსაზღვრული.

**შენიშვნა** 2. მომზადებელი კომისიის ისეთი დადგენილება, რაც შეეხება პოლიტიკური და მეურნეობრივი ცხოვრების საერთო ნორმებს ან რაც იწვევს მოქმედი კანონმდებლობის დამატებას, გაუქმებას ან შეცვლას, აუცილებლად შეტანილ უნდა იქნეს განსახილველად სახალხო კომისართა საბჭოში თუ ეკონომიურ საბჭოში ქვემდებარეობის მიხედვით.

7. ამა დებულებით დაკისრებული მიზნის განსახორციელებლად მომზადებელ კომისიას უფლება აქვს დააკისროს საქართველოს სსრ ამა თუ იმ უწყებასა და დაწესებულებას საკითხის დამატებითი დამუშავება და მოსთხოვოს საჭირო მასალებისა და ცნობების წარდგენა.

მომზადებელ კომისიას აქვს აგრეთვე უფლება მოაწყოს ამა თუ იმ საკითხის დეტალური დამუშავებისათვის დროებითი კომისიები უწყებათა წარმომადგენლებისა და მცოდნე პირების მონაწილეობით.

**შენიშვნა.** უკეთუ საქმის გადადება შეუძლებელია, ამ მუხლში აღნიშნულ მოქმედებას განახორციელებს მომზადებელი კომისიის თავმჯდომარე.

8. მომზადებელი კომისიის განსახილველად შეტანილი საკითხების წინასწარი მომზადებისა, საქმეთა გამგებლობისა, სხდომების ოქმის წარმოების და შესრულებისა და კომისიისა და მისი თავმჯდომარის მინდობილებათა შესრულებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის შედგენილობაში არის: ა) კონსულტანტთა ბიურო; ბ) მომზადებელი კომისიის პასუხისმგებელი მდივანი და გ) საჭირო ტეხნიკური პერსონალი.

---

## 14. დადგენილება ს. ქ. ს.

**სახელმწიფო-სატეხნიკო გამომცემლობის ყოველგვარი რესპუბლიკანური და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან და აგრეთვე სასამართლოს ბაჟისაგან განთავისუფლების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნეს სახელმწიფო-სატეხნიკო გამომცემლობა („გოსტეხნიზდატი"-ი), რომელიც სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებლობაშია, ყოველგვარი რესპუბლიკანური და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან და აგრეთვე სასამართლოს ბაჟისაგან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. დეკემბრის 4.
ტფილისი—სასახლე.

## 15. დადგენილება ს. კ. ს.

**სწავლისა და აღზრდის დაწესებულებაში მასწავლებელთა დანიშვნის წესის შესახებ.**

სწავლისა და აღზრდის დაწესებულებათა კვალიფიკაციური სამასწავლებლო პერსონალით უზრუნველყოისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განათლების სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოს გამგებლობაში მყოფ სწავლისა და აღზრდის დაწესებულებაში მასწავლებლის თანამდებობაზე დაინიშნება:

ა) საბავშვო სახლში და შრომის სკოლა-ოთხწლედში—პედაგოგიური ტეხნიკუმისა ან პედაგოგიურ განხრის მქონე ცხრაწლედის კურსდამთავრებული;

ბ) შრომის სკოლა-შვიდწლედში და გლეხ-ახალგაზრდობის სკოლაში-უმაღლესი სასწავლებლისა ან ყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული;

გ) შრომის სკოლა-ცხრაწლედში, ტეხნიკუმში, მუშათა ფაკულტეტზე, საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში, მაღალი ტიპის სკოლაში მოზრდილთათვის და მუშათა უნივერსიტეტში—უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული;

დ) პროფტეხნიკურ სკოლაში (დაბალი ტიპისა) და სასოფლო-სამეურნეო სკოლაში-პედაგოგიური ტეხნიკუმის კურსდამთავრებული, გარდა აგრონომისა, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მასწავლებლად დანიშვნისათვის უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება;

ე) პარტსკოლაში—კომუნისტური უნივერსიტეტის ან უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული;

ვ) წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე-ცოდნეობის ლიკვიდაციის სკოლაში—საშუალო განათლების მქონე პირი.

**შენიშვნა.** განსაკუთრებულ შემთხვევაში, განათლების სახალხო კომისარიატის ცალკეული ნებართვით, მასწავლებლად შეიძლება დაინიშნოს აგრეთვე ისეთი პირი, რომელიც თუმცა ამა დადგენილებაში გათვალისწინებულ პირობებს არ შეესაბამება, მაგრამ რომელსაც აქვს საკმარისი პრაქტიკული სტაჟი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



2. ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნულ სამასწავლებლო თანამდებობაზე დანიშვნა სწარმოებს შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებულ წესისამებრ.

3. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაზე გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. დეკემბრის 15.
ტფილისი—სასახლე.

---

## 16. დადგენილება ს. ქ. ს.

**სულით ავადმყოფთა გადაყვან-გადმოყვანის მოწესრიგების შესახებ.**

სულით ახადმყოფთა ხშირი და მიზანშეუწონელი გადაყვან-გადმოყვანის თავიდან ასაცილებლად და ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო სახსარის არა-რაციონალური ხარჯვის მოსასპობად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატსა და მის ადგილობრივ ორგანოებს მიიღონ სახელმძღვანელოდ ამა დადგენილების მე-2—5 მუხლებით გათვალისწინებული წესი რკინის გზით სულით ავადმყოფთა შეღავათიანი მიმოსვლისათვის ლიტერების გაცემის შესახებ.

2. სულით ავადმყოფთა ფსიქიატრიულ დასებულებაში გადასაყვანად და საავადმყოფოდან გამოწერისას, საცხოვრებელ ადგილას დასაბრუნებად გაცემულ უნდა იქნეს მე-4 №-ის ფორმის წინადადება.

3. უკეთუ ავადმყოფი ფსიქიატრული საავადმყოფოდან მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ან სამზრუნველოდ ნათესავებთან იგზავნება, საჭიროა დოკუმენტალურად გამორკვეულ იქნეს ავადმყოფის საცხოვრებელი ადგილი ან ისეთი ნათესავის არსებობა, რომელთანაც შეიძლება ავადმყოფის მოთავსება. უკეთუ ასეთი დოკუმენტები არ აღმოჩნდა, საჭირო ცნობები შეკრეფილ უნდა იქნეს სათანადო ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით.

4. ავადმყოფისა და მის თანგამყოლთა გადასაყვანად საჭირო წინადადება და საგზაო ბილეთების ღირებულების 50% ფულად გაცემულ უნდა იქნეს იმ ვარაუდით, რომ ავადმყოფი გადაყვანილ იქნეს საბოლოო დანიშნულების ადგილამდე. ლიტერების საშუალედო პუნქტებამდე გაცემა აკრძალულია.

5. მე-4 №-ის ფორმის წინადადება დაწესებულია მხოლოდ სულით ავადმყოფთათვის; ამის გამო ასეთი წინადადების გაცემა იმ ავადმყოფისათვის, რომელიც ნერვებით და ტრავმატიული ნევროზით არის დაავადებული, აკრძალულია.

6. ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესების გარეშე ავადმყოფების გაგზავნისა და წინადადების გაცემისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სადისციპლინო ან სისხლის სამართლის წესით.

7. დაევალოს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. დეკემბრის 18.
ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 16. დაიბეჭდა 1.250.